ცნობის ფურცელი

№ 2461 პარასკევი, 9 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2461

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"**. ტელეფონი № 372.

გაზეთი **„ცნობის ფურცელი"** 1 აპრილიდან წლის დამლევამდე სურათებიანის დამატებით ღირს 5 მან.

გრენა

ცელულიარული, პასტერის სისტემაზე დამზადებული, შემდეგი ცნობილ ფირმებისა: **„ფ. ბერტო და ამხ.", „ფერრან და გენტრანდ", „ვ. გელლონ", „ხ. ს. ხრისტოდულიდი", „ე. კონსტანტინიდი"** და სხვათა. იკითხეთ სასახლის ქუჩაზე თავად-აზნაურთა ქარვასლაში, ფრანგულს კანტორაში № 127.

(3—138—2)

ძმ. ნიკიტინების ცირკში

პარასკევს, 9 აპრილს, ცნობილ ფალავნის ლილოელის თხოვნით დაინიშნა მეორედ ჭიდაობა **ცერაძესა** და თედო **ლილოელს** შორის. 25 მან. გამარჯვებულს. პრემიას თავისით ნიშნავს ლილოელი. მეორე ჭიდაობა გაიმართება სამო **ლომსაძესა** და **ჟიბგირს** შორის. პრემია ვერცხლის საათი. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ ს. ჭიდაობა მოხდება მეორე განყოფილების შემდეგ.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

მ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. მ. სობოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

მ. მ. მანსვეტოვ—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. სობოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

საუკეთესო ღირსების

შაბიაბანი ნამდვილ ინგლისური
გოგირდის ყვავილი „ „სუმბულა"
მანქანა ვენახის სარწყავი „ „ვერმორელი
მანქანები გოგირდის საბერავი.
რაფია ვენახის საკონავი.

აგრეთვე ვერმორელის მანქანის ყველა ნაწილები ცალკ-ცალკე ისყიდება ზომიერ ფასებში

ქუთაისში „ი. გოკიელოვის შვილები"-ს სავაჭრო სახლში. (16—142—1)

ოთხშაბათს, 14 აპრილს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადგომში, სამხედრო საბჭოს დარბაზში, მოხდება წლიური კრება რუსეთის **საიმპერატორო** საგეოგრაფო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა.

განსახილველი საგნები:

1) განყოფილების 1903 წლის მოქმედების ანგარიში;

2) სარევიზიო კომისიის დანიშვნა;

3) განყოფილების ნამდვილის წევრის ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვის მოხსენება „ბზიბის აფხაზეთში"

4) გამგე კომიტეტის წევრთა არჩევა;

5) ნამდვილ წევრთა არჩევა.

კრება საჯაროდ მოხდება. საზოგადოებას უფასოდ შეუძლია კრებას დაესწროს.

(უ. 3—1)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123.
(თვ.—0—38)

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბებიშვილი
იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ბესარიონ ა. პოპოვი
სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (30—6.—5)

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი
ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 აპრილი

პრესბურგი. აქაურ პატრონის ქარხანას, რომელსაც წინად ჩინეთის მთავრობამ შეუკვეთა 15,000,000 პატრონა, ხელ-ახლა შეუკვეთა ჩინეთმა პატრონები.

სევასტოპოლი. მოღრუბლული ამინდია; წვრილი წვიმა მოდის. კონსტანტინეპოლის ბატირეის მხრიდან გამოვიდა ნაღმიანი გემი. ეს გემი პირველი მიეგება „სვიატოი ნიკოლაი"-ს გემით მოსულ „ვარიაგ"-ის უფროსს, ჩემულპოში დაღუპულ ორ გემის აფიცრებსა და მატროსებს და სეულში მყოფ საელჩოს დამცველ რაზმს. დილის 8 საათზე „დნესტრ"-ის გემმა, რომელზედაც უფროსი იყო, ჩვეულებრივის ცერემონიით ააფრიალა დროშა. ჯავშნიან გემ „როსტისლავ"-ზე გაისმა მისაგებებელი სამხედრო სალამი. ამავე დროს შავის ზღვის მთელმა ფლოტმა ააფრიალა დროშები. ამ სალამს „ურა"-ს ძახილით მისცეს პასუხი ჩემულპოს გმირებმა. დროშებითა და ყვავილთა ხვეულებით მორთული გემი ნავთსაყუდელს მიადგა. ვიცე-ადმირალი კრიგერი სხვებთან ერთად ავიდა გემზე, მიულოცა რუდნევს, გადაეხვია იმასა და დანარჩენ აფიცრებს და ჩაუარა „ვარიაგ"-ისა და „კორეეც"-ის მეზღვაურთ. „კორეეც"-ის მეზღვაურთა შორის არიან ისეთნი, რომელთაც გიორგის ორ-ორი ჯვარი აქვთ. ამათ უნახავთ „კორეეც"-იდან ტაკუსთან მომხდარი ბრძოლა.

ხარკოვი. გზად გამოვლის დროს ჩემულპოს გმირებს ქალაქის თვით-მმართველობა მიართმევს ორ ვერცხლის თასს.

8 აპრილი.

სევასტოპოლი. ვიცე-ადმირალმა კრიგერმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და დასასრულ განაცხადა: „იყავით ჩვენ სტუმრებად, შეისვენეთ და შემდეგ ხელახლა გზას გაუდექით. თვით ხელმწიფე გელით. იმისთვის თავი გასწირეთ, იმისგანვე ქებას მიიღებთ. სახელი და დიდება თქვენს გმირობას. ურა". შემდეგ რუდნევს უთხრა: „მე მხვდა წილად გადმოგცეთ უმაღლესი გრამოტა გიორგი ძლევა-მოსილის ორდენისა. მოხარული ვარ მოგილოცოთ ორდენის მიღება კიდევ იმიტომ, რომ თქვენ ის უფროსი ხართ, რომელმაც თავის მაგალითით იგივე ჯილდო მიაღებინა ჩემ ყოფილ მოსწავლეებს საზღვაო კორპუსში. ბედნიერი ვარ, რადგან საქმით დაამტკიცეს, რომ საზღვაო მუნდირმა შთააგონა იმათ ის დიდი გმირობა, რომლითაც ყოველთვის ცნობილნი იყვნენ რუსის მეზღვაურნი". შემდეგ „კორეეც"-ისა და „ვარიაგ"-ის მეზღვაურნი გადმოვიდნენ ნაპირზე, სადაც რუდნევს პურ-მარილით დახვდა ქალაქის მოურავი. მეზღვაურნი წავიდნენ ნიკოლსკის საადმირალო ტაძარში, სადაც გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. გზაზე ჯარი იყო გამწკრივებული.

სევასტოპოლი. ჩამოვიდა რუდნევი, რომელსაც ფლიგელ-ადიუტანტის ვენზელები აქვს გაკეთებული. პალტოზე წმ. გიორგის ჯვარი აქვს, რომელიც სკრიდლოვმა გაუგზავნა სტამბოლს. ეს ჩვეულებათაა შემოღებული დედოფალ ეკატერინეს დროიდან:

ფელეტონი

იაპონია და იაპონელნი

VII *)

რკინის გზები და სავაჭრო ფლოტი

იაპონია დღეს არა, ხვალ სამრეწველო ქვეყანად გადაიქცევა. ამას ხელს უწყობს მდებარეობა იაპონიისა, ხალხის სიმრავლე და მიწის სიმცირე, მადნების სიმრავლე და სხვა. მრეწველობა და ვაჭრობა დღესაც საკმაოდ არის განვითარებული. თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ სულ რაღაც 30 წელიწადია, რაც უცხო-ქვეყნელთათვის იაპონიაში ნავთ-სადგურები გაიხსნა და რაც ეს სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობის სართო ფერხულში ჩაება, დავინახავთ, რომ ამ მხრივ ამომავალ მზის ქვეყნის განვითარება გასაოცარია. თვით შეერთებულ შტატების ვაჭრობა-მრეწველობაც-კი არ გაძლიერებულა ისე, შედარებით რასაკვირველია, როგორც იაპონიისა. დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში მთავრობას. იგი ყველაფრით ხელს უწყობდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას: აძლევდა ფულს, აძლევდა შეღავათებს, გაჰყავდა და გაჰყავს რკინის გზები, აარსებდა და აარსებს ათასნაირ სავაჭრო და სამრეწველო სკოლებს, ჰგზავნიდა ყმაწვილ კაცებს ევროპაში და სხვა. უმთავრესად ამ საქმისთვის ზრუნავს მიწათ-მოქმედებისა და ვაჭრობის სამინისტრო. მაგრამ უყურადღებოდ არც სხვა სამინისტროები სტოვებენ. გარეშე საქმეთა სამინისტრო, მაგალითად, ხშირ-ხშირად აქვეყნებს თავის ელჩების მეტად ვრცელ მოხსენებებს ამა თუ იმ სახელმწიფოს რომელიმე რაიონის ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ. მთავრობავე ხშირად ჰგზავნის საზღვარგარედ განსაკუთრებულ ექსპერტებს. სავაჭრო პალატები, რომელთაც სახელმწიფოსაგან სუბსიდიები ეძლევათ, არსებობს იაპონიის თითქმის ყველა თვალსაჩინო სამრეწველო ქალაქში. იმართება მალ-მალ გამოფენები და სხვა.

ფრანგი დანიელ ბელლე სწერს:

„უკანასკნელ ოცდა ხუთის წლის განმავლობაში, რაც იაპონია ევროპას დაუახლოვდა, ხალხი და მთავრობა გულ-ხელ დაკრეფილი არ იჯდა. იაპონელებმა ყოველი საშუალება იხმარეს ათას გვარ სკოლის განსავითარებლად. დაარსებნენ პირველ-დაწყებით სკოლებს, საშუალო, უმაღლეს, სატეხნიკო, საპროფესიონალო და საკომერციო სასწავლებლებს. მაგრამ მარტო ამას არ დასჯერდნენ. იაპონელებმა უპირველეს საქმედ იაპონიის სამრეწველო ძლიერების შექმნა გაიხადეს და ამიტომ არა ჰზოგავდნენ ფულს რკინის გზების გასაყვანად, ტელეგრაფებისა და ტელეფონების გასამართავად, სამექანიკო სახელოსნოებისა და ლაბორატორიების მოსაწყობად და სხვა საქმისათვის. კარგად იცოდნენ, რომ მრეწველობა და ვაჭრობა მაშინ წავა წინ, თუ შემოიღებენ ტეხნიკის გაუმჯობესებულ საშუალებებს. კარგად იცოდნენ ისიც, რომ ყველა ამისთვის საჭირო მოფენა მთელ სახელმწიფოში სატეხნიკო განათლებისა, რომელიც გააჩენს მარტო მცოდნე ხელმძღვანელთ კი არა, გამოცდილ და მუყაით მუშებსაც".

ამ მეცადინეობამ და 25 წლის შრომამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო: იაპონელთათვის დღეს არც ერთ სატეხნიკო და სამრეწველო საქმეში ევროპიელის მასწავლებლობა საჭირო აღარ არის. ამ ჟამად იაპონელებს ორი ათას ხუთასზე მეტი მშვენივრად მომზადებული ინჟინერი ჰყავთ და ყოველ გვარ სატეხნიკო საქმეს თვითონ აკეთებენ: გაჰყავთ რკინის გზები, აგებენ უზარმაზარ გემებს და სხვა.

ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერებისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა კარგი გზები და სავაჭრო ფლოტი. იაპონია ძველად, ევროპიელების გაცნობამდე, განთქმული იყო შარა გზებითა და გზა-ტკეცილებით. გზების გაყვანას და კარგად შენახვას იმ თავითვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ როგორც მთავრობა, ისე კერძო მებატონენი. იაპონიაში ორის საუკუნის წინად გამოსცეს კანონი, რომლის ძალითაც ყველა მთავარი, თავადი თუ მებატონე ვალდებული იყო თავის მიდამოებში გზები გაეყვანა, სიგანით გზა ცხრა საჟენი უნდა ყოფილიყო. წინად უკვე ვწერდით, რომ იაპონელები სილამაზეს, სიმშვენიერეს დიდ ყურადღებას აქცევენ. ეს კარგი თვისება გზების გაყვანის დროსაც არ ავიწყდებათ ხოლმე. ბევრ გზას აქეთ-იქიდან ხეები აქვს ჩამწკრივებული, ასე რომ ხეივანს უფრო ჰგავს იგი, ვიდრე გზას. საუკეთესო გზად მთელ იაპონიაში ეგრედ წოდებული „ტოკაიდო" ითვლება, რომელიც გაჭიმულია უდიდესს კუნძულის, ნიპონის, სიგრძეზე. ეს გზა ლარივით გაჭიმულია, მეტად განიერია და იატაკივით სწორე. მთელ გზას თავიდან ბოლომდე, რამდენიმე ასს ვერსის სიგძეზე, აქეთ-იქიდან უზარმაზარი ხეები აქვს ჩარიგებული. ხუთას-ექვსასი წელიწადია, რაც ეს გზა გაიყვანეს და დღესაც-კი ევროპიელნი მოგზაურნი აღტაცებაში მოდიან.

რკინის გზების გაყვანას მთავრობა შეუდგა 1872 წლიდან. სწორედ ამ წელს დაიწყო მატარებლებმა სიარული ტოკიოდან იოკოგამამდე, პირველ რკინის გზაზე, რომლის სიგრძეც 28 ვერსი იყო. მას შემდეგ სწრაფად გამრავლდა რკინის გზები. 1889 წელს რკინის გზების სიგძე მთელს იაპონიაში 1,709 ვერსი იყო, 1900 წელს კი—6,549 ვერსი. უმთავრესად რკინის გზები კერძო საზოგადოებებს და ამხანაგობებს გაჰყავთ. 1900 წელს მთელს იაპონიაში 58 ამხანაგობა იყო, რკინის გზის გამყვანი. ამათ ჰქონდათ 250 მილიონ მანეთის ნომინალუ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2449.

უფროსი აფიცრები, რომელთაც გიორგის ჯვარი აქვთ, თავის მხრით უბოძებენ ამ ჯვარს მამაც უმცროსს აფიცრებს. რუდნევისთვის გაგზავნილი ჯვარი სკრიდლოვმა მიიღო პეტერბურგიდან ერთ უცნობ აფიცრისაგან, როდესაც იგი დიჭრილი მიიყვანეს ნიკოლოოზის სადგურზე.

სევასტოპოლი. ქალაქის საბჭომ დაადგინა, მიართვას სკრიდლოვს ხატი და ადრესი.

ნიუჩუანი. 8 კორესპონდენტს, ინგლისურ, ამერიკულ და იტალიურ პრესსის წარმომადგენლებს, მოულოდნელად ნება მოუვიდათ მუკდენში წასვლისა და დღესვე წავიდნენ. ესენი პირველი კორესპონდენტები არიან ომის დაწყებიდან, რომელთაც ნება მიეცათ რუსეთის ჯარებთან იყვნენ.

ბერლინი (სპეციალური). ტოკიოდან იტყობინებიან, რომ რუსებმა ნაო-ლინი დაიჭირეს და ხუნ-ჩუპესთან სიმაგრეები გაამლიერესო.

სეული. იაპონიის მოხელენი ამბობენ, რომ მდ. იალუზე რუსებისა და იაპონელების მოწინავე რაზმებს რამდენიმე ბრძოლა უკვე ჰქონდათ. რუსეთის ჯარი იალუზე 50 ათას კაცამდე უნდა იყოსო.

ნაგასაკი. იაპონიის ფლოტმა მოსპო სამი ნაღმი, რომელიც დაინახა ზღვაში შანდუნის კონცხიდან 40 მილის სიშორეზე.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

8 აპრილი

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა ხელმწიფე იმპერატორის სახელზე: „გენერალი კაშტალინსკი მატყობინებს, რომ მდ. იალუზე მშვიდობიანობაა. გოლუძის პირდაპირ და ზემოდ იაპონელები თხრილებს აკეთებენ. იაპონელთა ჯარები დღითი-დღე ძლიერდება; ისინი გროვდებიან იჯუს რაიონში და ჩრდილოეთისაკენ მდ. იალუზე. ყაზახებმა შეამჩნიეს იაპონელთა სამხედრო გემები ჩინტაიზის ნავთ-სადგურიდან, პოტინზას სოფლის პირდაპირ, დადუნგოუს დასავლეთით ოც-და-ხუთის ვერსის სიშორეზე. გემები დგანან ნაპირიდან 50 ვერსის მანძილზე. გენერალ მიშჩენკოს ცნობებით, იაპონელთა გემები სენგ-ჩხენთანაც გამოჩნდნენ“.

პორტ-არტური. კვანტუნის ნახევარ კუნძულზე ჯერ სრული მშვიდობიანობაა; არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ბერლინი. გაზ. „კრეიც ცაიტუნგ“-ის ცნობებით, იაპონიის სათადარიგო ჯარების გაგზავნის დროს აღმოჩნდა აფიცერთა სიმცირე; ამიტომ იაპონია იძულებულია მომქმედ ჯარების ზურგის გასამაგრებლად ბრძოლის ველიდან დაიბაროს აფიცრები.

„ნაციონალ ცაიტუნგ“ ი ამბობს: ამ დღეებში იაპონელები ეცდებიან, ალბად, ჯარების გადასხმას ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე პორტ-არტურის ახლო და აგრეთვე ფუჩოუს ახლოცაო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საუბარი რუსეთის საზღვაო შტაბის უფროსთან. ფრანგულ გაზ. „პტი პარიზიენ“-ის თანამშრომელს რუსეთის უმთავრეს საზღვაო შტაბის უფროს კონტრ-ადმირალ როჟდენსტვენკისთან უსაუბრნია. ადმირალს უთქვამს: „ნახევარ საათზე მეტ ხანს ვერ გესაუბრებით. რის გაგება გინდათ? მკითხეთ, მეც გიპასუხებთ.

— ადმირალო, ამბობენ, როცა ბალტიის ესკადრას შორეულ-აღმოსავლეთში წასასვლელად მოამზადებენ, ამ ესკადრის უფროსად თქვენ დაგნიშნავენ ვითომაო. მართალია ეს ცნობა?

— მართალია, ბალტიის ესკადრის უფროსად დამნიშნეს, მეც დავსთანხმდი, მაგრამ ის კი მართალი აღარაა, ვითომ ბალტიის ესკადრა როდისმე შორეულ-აღმოსავლეთში გაიგზავნოს.

— რატომ, რა მიზეზია, ადმირალო?

— იმიტომ რომ ჯერ არავინ იცის, გაჰგზავნიან ამ ესკადრას შორეულ-აღმოსავლეთში, თუ არა. მართალია, ლაპარაკი იყო ბალტიის ესკადრის გაგზავნაზე, გადასწყვიტეს კიდეც, რომ ეს ესკადრა 15 ივლისისათვის იქნება მზადაო, მაგრამ თვით ჩვენი ოფიციალური წრეებიც კი აშურდნენ და ნამეტანი ადრე გამოაცხადეს, რომ ეს ესკადრა უსათუოდ გაიგზავნებაო. ეს საქმე ნამდვილად ჯერ არც-კია გადაწყვეტილი.

— მაშ თქვენ არ იკისრებთ ამ ესკადრის უფროსობას?

— მე ეგ არ მითქვამს, მაგრამ ვინ იცის ივლისამდე რა ამბები მოხდება, იქნება ეს ესკადრა ბალტიის ზღვაში დაგვჭირდეს, იქნება სხვაგან სადმე უფრო დიდი ამბებიც მოხდეს.

— სად სხვაგან?

— სად და ევროპაში. ამას გარდა, ჩემის აზრით, იმ დროს მეზღვაურებს საქმე აღარ ექმნებათ შორეულ-აღმოსავლეთში“.

ადმირალმა დაინახა, რომ მე გავოცდი და დაუმატა: „გატყობთ, ჩემი ნათქვამი გაკვირვებთ. მაშ ყური დამიგდეთ: ესკადრა 15 ივლისისათვის იქმნება მზადა; იმ დროს რომ წავიდეს, რაღა უნდა გაარიგოს შორეულ-აღმოსავლეთში. იმ დრომდე იაპონელები იმდენ იარაღსა, ყუმბარებსა, ყოველნაირ სამხედრო და საკვებ სურსათს გადაიტანენ კორეიაში, რომ რამდენისამე თვის განმავლობაში იოლად წავლენ. იაპონელებს ბევრი დოკი აქვთ თავიანთ დაზიანებულ გემების შესაკეთებლად; ბავშვობა იქმნება ჩვენის მხრივ, დავმალოთ, რომ იაპონელები მშვენიერ ყოფაში არიან; ამას გარდა იაპონელები მეტად ძლიერი, მრისხანე მოწინააღმდეგეები არიან. დიდი მედგარი ბრძოლა დაგვჭირდება ამათთან, თუ გვინდა რომ ვაჯობოთ. იაპონელები მცირე შეუმჩნეველ გამარჯვებისთვისაც კი არავითარ ხარჯს არ ერიდებიან და არაფერს არ ჰზოგავენ. რაკი იაპონელები ასე დაუზოგავად იქცევიან, მაშ, სჩანს, მტკიცე იმედი აქვთ, რომ სამხედრო სურსათი არ შემოაკლდებათ, მაშ, სჩანს, იმათი ერთგული მეგობრები ყველაფერს ბლომად აწვდიან, რაც-კი ომისათვის საჭიროა.

— მაშ, თქვენის აზრით, ეს ომი დიდ-ხანს გასტანს?

— რასაკვირველია. ასე ჰფიქრობს ყველა, ვინც-კი საქმეს თვალ-ხილულად უცქერის.

— რა აზრისა ხართ იაპონელების საზღვაო ტაქტიკაზე?

— ჩემის აზრით, ადმირალი ტოგო თავის საქმეს რიგზე უძღვება და სწორედ ისე იქცევა, როგორც საჭიროა. პორტ-არტურზე ხშირი დაცემა სულაც არაა ურიგო საქმე. ტოგო დარწმუნებულია, რომ თავისს დაზიანებულ გემებს ხელად შეაკეთებს, სამხედრო სურსათს რამდენსაც უნდა, მოიტანს და, თუ საჭირო იქმნება, თავის მძიმე ზარბაზნებსაც გამოსცვლის და ძველების მაგივრად ახლებს დააწყობს გემებზე. ტოგომ ჩვენი ფლოტი პორტ-არტურთან მოამწყვდია, ხელ-ფეხი შეუკრა და გარედ გაშლილ ზღვაში არ უშვებს. ამავე დროს იაპონელი ადმირალი თავის მეზღვაურებს საზღვაო ბრძოლაში სწრთვნის და თავის აფიცრებს საზღვაო ტაქტიკას ასწავლის და ბრძოლას აჩვევს; ჩვენი მეზღვაურები-კი პორტ-არტურს ვერა ჰშორდებიან და მუდმივის მოლოდინისაგან ნერვები ეშლებათ.

— ამბობენ, ადმირალი მაკაროვი ეხლა სხვა ტაქტიკას დაადგა, პორტ-არტურიდან 30 მილის მანძილზე გაშლილ ზღვაშიაც გავიდაო (ეს ლაპარაკი მაკაროვის გარდაცვალებამდე ჰქონიათ).

— დიახ, მართალია, მაგრამ რა ჰქნას ადმირალმა მაკაროვმა? სასწაულს ხომ ვერა იქმს? მაკაროვი—მშვენიერი მეზღვაურია, მხნე, მამაცი და დახელოვნებული სარდალია, მაგრამ მაინც პორტ-არტურშია დატყვევებული. ადმირალი ტოგო პორტ-არტურზე დაცემით ცალკე ჩვენ ფლოტს შიდა რეიდში ატყვევებს, ცალკე კიდევ თავის ფლოტსა და მეზღვაურებს ამხნევებს და საუკეთესო ყოფაში აყენებს. იაპონელები როცა უნდათ, პორტ-არტურს ეცემიან, ზარ ბაზანს უშენენ, როცა უნდათ,—ისვენებენ; ამას გარდა კორეიაშიაც თავისუფლად, უშ შრად ჯარი გადაჰყავთ.

— მაშ, როგორ უნდა მოიქცეს რუს ფლოტი?

— ჩვენი ფლოტი ისე უნდა მოიქცე როგორც ეხლა იქცევა. ეხლა ჩვენის ბა ლის სახელს-ღა ვიცავთ. ეს მაკაროვის ბრ არაა. საქმე მაკაროვზე წინ წაახდინეს რუსის ფლოტი მეტად ცუდ ყოფაში ჩააყენე ჩვენი ფლოტი ადრევე უნდა მოქცეულიყ მხნედა და ფიცხად; როცა მტერმა იერი მოიტანა, ჩვენ ფლოტსაც სამაგიერ იერიში უნდა მიეტანა, გულადად და ცემოდა. მედგრად შეჰბრძოლებოდა იარაღი თა, ზარბაზნებითა, ცეცხლებითა, კბილებითა უნდა ან გაემარჯვნათ ან გამწყდარიყვნე მაგრამ მტრისთვის კი უსათუოდ ისეთი მ უნდა დაეცათ, ისეთი ზარალი უნდა მიეცათ რომ კორეიაში ჯარის გადმოყვანა ველ მოეხერხებინა. იქნება ჩვენი ფლოტი სულ დაღუპულიყო, მაგრამ ვინ იცის, იქნება ია პონიის ფლოტის ძლიერებაც დაემხო. მა შინ იაპონელები კორეიაში ჯარის გადმო ყვანას ველარ გაჰბედავდნენ... ეხლა ხომ გვ მით, რომ ჩვენი ფლოტი უსათუოდ თით ნაც მხნედ, აქტიურად უნდა მოქცეულიყ პირველ ხანშივე და იაპონიის ფლოტზე მ დგარი იერიში მიეტანა?

— აკი რუსის ფლოტმაც დააზიანა იაპონიის ფლოტი? ამბობენ, უკანასკნელ ი რიშის დროს რუსებმა იაპონელების ერ ჯავშნიანი გემი დააზიანესო.

— ეგ ტყუილია, იაპონელების ფლოტ თითქმის არაფერი ზარალი არ მოჰსვლი მართალია ჯავშნიან გემ „აზამაზე“ უფრო სის ხ დი და კოშკი დააზიანეს, მაგრამ გემი ხელად შეაკეთეს.

— ამბობენ, ვლადივოსტოკის ესკადრ ორი სავაჭრო გემი დაატყვევა და ერთი ს მხედრო გემი დააზიანაო.

— ვლადივოსტოკის ესკადრაზე ვერას გ ყვით; ის კია, რომ მაგ თქვენის ცნობ თაობაზე ოფიციალურად არ გამოუცხად ბიათ-რა. მხოლოდ ის ვიცი ნამდვილ რომ ვლადივოსტოკის ესკადრა თავისუფ დადის გაშლილ ზღვაში, როგორც უნ ისე იქცევა და იაპონელები ხმასაც არა ს მენ („რუს“-ი).

რამ დაღუპა „პეტროპავლოვსკ“-ი. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტი იუწყებ რუსის ჯავშნიან გემ „პეტროპავლოვსკ“ იაპონელების ხუთი ნაღმიანი გემი შემო ხვია, ნაღმები ესროლა და დაღუპაო. იაპო ნელი ადმირალი ურიუც სწერს თავის მ

რი თანხა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ იაპონიაში ბევრი პატარა სამრეწველო ამხანაგობაა. მაგალითად, ზემოდ მოხსენებულ ამხანაგობებში მხოლოდ რვაა ისეთი, რომელთა რკინის გზების სიგრძეც 100 ვერსს აღემატება (თითოსი). უდიდეს საზოგადოებას „ნიპონს“ 1.286 ვერსის გზა აქვს. არის ისეთი ამხანაგობებიც, რომელთაც მხოლოდ 30 ვერსის გზა აქვთ. ორი მესამედი გზებისა კერძო ამხანაგობებს ეკუთვნის, ერთი მესამედი—მთავრობას. ამ ბოლო დროს ბევრსა სწერენ და ლაპარაკობენ ხაზინის მიერ კერძო ამხანაგობებისაგან რკინის გზების გამოსყიდვის შესახებ. ტოკიოსა, კიოტოსა, იოკოგამასა, კობესა, ოსაკასა და მრავალ სხვა ქალაქში ელექტრონის რკინის გზებია.

რკინის გზები იაპონიაში უმთავრესად ვიწრო ლიანდაგიანია. ვაგონები ხშირად ელექტრონით არის განათებული. სახალხო ვაგონში ეტევა 40-50 კაცი, საქონლისაში—500-600 ფუთი საქონელი. ზოგიერთ ვაგონებში არის საწოლები და სასადილოები. გზები ყველგან დასახლებულ ადგილებშია გაყვანილი. სადგურები ახლო ახლოა, ამასთან ყველა სადგური ქალაქსა ან დიდ სოფელშია. ტოკიოდან კობემდე 570 ვერსია და ამ მანძილზე 85 სადგურია. დღე-ღამეში ორსავე მხრიდან უშვებენ 22 მატარებელს (თითო მხრიდან). სიიაფის გამო დიდძალი ხალხი სარგებლობს რკინის გზით. ვაგონი იშვიათად არის ცარიელი. სადგურზე მატარებელი ჩერდება ერთ-ორ წუთს.

იაპონელებისა და იმათ რკინის გზების დასახასიათებლად მოვიყვანთ რუსულ გაზეთის „რუსკაია ვედომოსტი“-ს თანამშრომლის სიტყვებს (№ 238, 1903 წ.):

„როდესაც ნაგასაკში პირველად სადგურზე მოვყევი, გული გამისქდა, იმდენი ხალხი დავინახე. როგორ უნდა ავიღო ბილეთი ან როგორ უნდა დავიჭირო ადგილი ვაგონში?—გამიელვა მაშინვე თავში. მგზავრებს მატარებელზე უშვებენ წასვლამდის ორის წუთით ადრე. ღამე იყო, ადგილობრივი ენა არ ვიცოდი, ამასთან ბარგიც უნდა ჩამებარებინა. ადვილად მიხვდება მკითხველი, ყველა ამას როგორ უნდა დავეღონებინე.

„მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ეს შიში უსაფუძვლო იყო. იაპონიაში, თუ თითონ გეზარება საქმის გაკეთება, საკმაოა ფული მებარგეს (ყველა ფორმაშია და ნომერი აქვს) გადასცე და ის ხელად ბილეთსაც იყიდის, ბარგსაც ჩააბარებს და ვაგონამდისაც მიგაცილებს. ორი შაური რომ აჩუქო, გულწრფელ მადლობას მოგახსენებს. თუ თვითონ გინდა ბილეთის აღება, საკმაოა სადგური დაასახელო და თითით ანიშნო, რომელი კლასის ბილეთი გინდა. რაც უნდა ბევრი ხალხი იყოს, ბარგის ჩაბარების დროსაც არ დაგაყოვნებენ.

„ბევრი ვიმგზავრე იაპონიაში, მაგრამ ვერსად, ვერც დიდ სადგურებსა და ვერც პატარებზე, ვერ გავიგონე ხმაურობა, ყვირილი, ღრიალი ან ლანძღვა. ხალხი ასობით და ათასობით ბილეთებს იღებდა, არავინ არავის არ აწუხებდა, არ აწვებოდა და ყველა ასწრობდა დროზე ბარგის ჩაბარებას და უდავიდარაბოდ ვაგონში ადგილის დაჭერას. საჭირო არ იყო არც პოლიციისა, არც კონდუქტორისა და არც რკინის გზის აგენტის საქმეში ჩარევა. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ თავისუფალ ვაგონში ღამე ვინმე დასაძინებლად წამოწვებოდა. შემდეგ სადგურებზე შემოდიოდნენ ახალი მგზავრები. თუ მწოლარეს მეტი ადგილი ეჭირა, საკმაო იყო ახლად შემოსულს ხელი დაედო იმისთვის, რომ იგი ხელად წამომხტარიყო და ადგილი დაეთმო. გამაკვირვა, გამაოცა, რომ იაპონელი ასე ყურ-მახვილია თავის უფლებებისა და მოვალეობის ცნობიერების საქმეში. რადგან რკინის გზის აგენტებიც მეტად სინიდისიერად და პირნათლად იქცევიან, ამიტომ იაპონელისთვის საჭირო არ არის სხვა ღონეს მიჰმართოს (როგორც ჩვენშია) ბილეთის ყიდვისა, ვაგონზა ადგილის დაჭერისა და სხვა საქმის დროს. ყველა იაპონელმა (სულ ერთია—გლეხია იგი თუ პირველი კაცი სახელმწიფოში) იცის, რომ მისცემენ ბილეთს, მისცემენ ადგილს, იცის, რომ შეურაცხყოფას არ მიაყენებენ და იატაკზე არ დასვამენ იმ დროს, როდესაც სხვის ადგილებზე ვინმეა წამოწოლილი. ამასთან იაპონელს ყოველთვის ახსოვს, რომ თვითაც არა აქვს უფლება დაარღვიოს წესები, სხვა შეაწუხოს და მიისაკუთროს იმაზე მეტი, რაც ერგება. არ იფიქროთ, ამ გვარი ცნობიერება მაღალ კლასებს შორის იყო მხოლოდ განვითარებული. იგივეა მესამე კლასის ვაგონშიაც: წესის დარღვევას ვერც იქ დაინახავთ, ვერც იქ გაიგონებთ ლანძღვას, უშვერ სიტყვას. ჩვეულებრივ ისეა, რომ მესამე კლასშიაც ყველას ადგილი აქვს, ვერავისა ჰნახავთ იატაკზე წამოგდებულს, გასავლელებში მდგომს. მატარებლის პატარა მოხელიდან დიდ აგენტამდე ყველამ კარგად იცის, რომ იგი საზოგადოებისთვის არსებობს და არა საზოგადოება იმის თვის. მხოლოდ ამით აიხსნება ის წეს-რიგი, რომელსაც იაპონიაში ყოფნის დროს ყველგან ვხვდებოდი“.

რკინის გზებთან ერთად იაპონიაში ძლი განვითარდა საფოსტო, სატელეგრაფო სატელეფონო საქმეც.

ზემოდ უკვე ვ თქვით, რომ ვაჭრობა-მრ წველობისათვის უპირველესი გზები სავაჭრო ფლოტია. არაფერი ისე არ გაძ ერებულა და განვითარებულა იაპონი როგორც სავაჭრო ფლოტი. ისტორია ფლოტის აღორძინებისა თვალ-საჩინოდ გვ ტკიცებს იაპონელების ნიჭსა და უნარს.

იაპონელები ძველადვე კარგი მეზღ რები იყვნენ, მაგრამ უწინ საზღვაო ს იაპონიაში ვერ განვითარდა, როგორც მ სალოდნელი იყო, კარ-ჩაკეტილობისა გამ ასე გასინჯეთ, მეჩვიდმეტე საუკუნიდან დ წყებული მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე იაპონიის ქვეშევრდომებს აკრძალული ჰქონ დათ უცხო ქვეყანაში წასვლა და დი გემების აგება. მხოლოდ მეორმოც და ათ და მესამოცე წლებში დაიწყო იაპონიამ გემე ბის შენება. პირველი საზღვაო სასწავლებ 1855 წელს დაარსდა ნაგასაკში, მეორე 1857 წელს ტოკიოში.

სავაჭრო ნაოსნობა იაპონიაში მთავ ბისავე დახმარებით და შემწეობით გაძლ და. პირველი სანაოსნო საზოგადოებ მელიც იაპონიაში დაარსდა, „მიცუ იყო. საყურადღებოა, რომ „მიცუ-ბი პირველ ხანს, მესამოცე წლებში, არც კუთარი გემი ჰქონდა და არც იაპონელ ზღვაურნი ჰყავდა. იაპონელნი მაშინვე ხვდნენ, რომ ვიდრე იაპონიას საკუთარი კები და ელლინგები არ ექმნება და კარ მომზადებული მეზღვაურები არ ეყოლ კონკურენცია ევროპიელ და ამერიკელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსენებაში, რუსის გემი „პეტროპავლოვსკ"-ი ჩვენმა ნასროლმა ნაღმმა ააფეთქაო. ზოგიერთი გერმანული გაზეთი კი ამტკიცებს, „პეტროპავლოვსკ"-ი რაღაც უბედურ შემთხვევისაგან დაიღუპა ბრძოლის დროსაო. („რ. ვ.").

რა დაჯდება რუსეთ-იაპონიის ომი? ფრანგული სამხედრო ჟურნალი „ფრანს მილიტერ"-ი შემდეგსა სწერს რუსეთ-იაპონიის ომის თაობაზე: „რადგან ეს ომი მეტად დიდ ადგილზე სწარმოებს, ამიტომ რუსეთს დიდი ჯარი დასჭირდება: 800-900 ათასი კაცი მაინც უნდა ჩაიყვანოს. ეს ომი, ალბად, 1906 წლამდე გასტანს. რუსეთს თვეში 70 მილიონი მანეთი დაეხარჯება ომზე, იაპონიას 47 მილიონი. ასე რომ ორ წელიწადში რუსეთს 1,600 მილიონი მანეთი დაეხარჯება, იაპონიას—1,200 მილიონი მან. ინგლისს სამხრეთ-აფრიკაში ჯარების გადასაყვანად და სამხედრო სურსათის გადასაზიდად 300 მილ. მან. დასჭირდა, რუსეთსაც დაახლოვებით ამდენივე დასჭირდება. პირველ წელიწადს რუსეთიც და იაპონიაც თავიანთის სახელმწიფო ნაღდის ფულითა და შინაგან სესხით წავლენ იოლად, მეორე წელიწადს-კი ორსავეს გარეშე სესხის აღება დასჭირდებათ. იაპონიას მცირე სახელმწიფო ვალი 650-570 მილიონი მანეთი—ვალი აქვს და ამ მხრივ უკეთეს ყოფასა და გარემოებაშია, ვიდრე ევროპის სახელმწიფოების უმეტესობა. ამიტომ იაპონია ადვილად იშოვის გარეშე ვალს და ვალის სარგებელს—დაახლოვებით წელიწადში 70 მილიონ მანეთს—ადვილად გაისტუმრებს. („რ. ი.").

უკანასკნელი ბრძოლა და პორტ-არტურის ესკადრა

სამი დღე რუსეთის ფოსტა არ მიგვიღია. ეხლა მოვიდა გაზეთები და მოგვიტანა დაწვრილებით ამბები დაღუპულ მეომართა და გემების შესახებ.

„პეტროპავლოვსკი" შუათანა ჯავშნიანი გემი იყო. ააგეს 1894 წელს, ხოლო 1900 წელს პორტ-არტურს მივიდა. მას აქეთ შორეულ-აღმოსავლეთში იყო. როცა დიდ-ოკეანეს ფლოტს ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი უფროსობდა, თავისი ფლაგი ამ გემზე ეჭირა. ამაზევე იყვნენ შტაბის უფროსი და სხვა აფიცრები. სიგრძე დაღუპულ გემს 54 საჟენი ჰქონდა, სიგანე—10 საჟენი. წყალრწყვა (ВОДОИЗМ.) ჰქონდა 11.354 ტონი. საათში გადიოდა 30 ვერსს. გემზე 60 ზარბაზანი იყო. აქედან ოთხი—თორმეტ დიუიმიანი და რვა—ექვს დიუიმიანი. მატროსი ითვლებოდა ამ გემზე 616, აფიცერი—26. (გაზეთი „რუსი" სწერს, რომ „პეტროპავლოვსკ"-ზე 900 კაცი უნდა ყოფილიყო). დაჯდა: გემის კორპუსი—3,855,693 მანეთი, ჯავშანი—1,261,030 მან., შეიარაღება—1,174,041 მ., ნაღმების მოწყობა—231,710 მან. სულ ამ რიგად ეს გემი ღირდა 7,322,473 მანეთად.

მეორე დაღუპული „სტრაშნი" ნაღმიანი გემი იყო. ააგეს ეს გემი 1899 წელს ელბინში. სიგრძე $29^1/_2$ საჟენი ჰქონდა, სიგანე—3 საჟენი. საათში გადიოდა 48 ვერსს. დაჯდა 517 ათას მანეთად.

დაზიანებული ჯავშნიანი გემი „პობედა" უდიდესი გემია. ააგეს ბალტიის გემთ-საშენებელ ქარხანაში და წყალში ჩაუშვეს 1900 წელს. გემს სიგძე 71 საჟენი აქვს, სიგანე—11 საჟ. წყლის რწყვა აქვს 12,692 ტონნი. ერთ საათში გემს შეეძლო 32 ვერსის გავლა. დაჯდა ეს გემი 8,507,305 მანეთად. სულ გემზე 63 ზარბაზანია. („რ. სლ.").

ომის დაწყებიდან დღემდე, როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, დაიღუპა რუსეთის ოთხი სამხედრო გემი: ჯავშნიანი—„პეტროპავლოვსკი", ნაღმების მზიდავი—„ენისეი", ნაღმიანი—„სტერეგუშჩი" და „სტრაშნი". ხოლო დაზიანდა (ისე, რომ ბრძოლაში მონაწილეობას ველარ იღებენ) ოთხი გემი. აქედან სამი ჯავშნიანი გემია—„ცესარევიჩი", „რეტვიზანი", და „პობედა" და პირველი ხარისხის კრეისერი „პალლადა". ამ რიგად ბრძოლის ველიდან დღემდე პორტ-არტურის ესკადრას მოაკლდა რვა სამხედრო გემი, აქედან ექვსი დიდი პირველ ხარისხოვანი გემია. რამდენიმე კრეისერიც დააზიანეს იაპონელებმა, მაგრამ ეს გემები პორტ-არტურში შეაკეთეს.

დღეს პორტ-არტურის ესკადრაში დაუზიანებელია შემდეგი დიდი გემები: ჯავშნიანი—„პერესვეტი", „სევასტოპოლი" და „პოლტავა"; კრეისერები—„ბაიანი", „ასკოლდი", „დიანა", „ნოვიკი". დიდი გემები ეს არის. პატარები: ნაღმიანი კრეისერები—„ვსადნიკი" და „გაიდამაკი"; საკანონირო ნავები—„გრემიაშჩი", „ოტვაჟნი", „გილიაკი", „ბობრი", „ჯიგიტი", „რაზბოინიკი" და „ზაბიაკა". სულ ამ ჟამად პორტ-არტურის ესკადრაში ითვლება 7 დიდი და 9 პატარა გემი. („რ. ვ.").

დაღუპულ ვიცე-ადმირალის მაკაროვის ბიოგრაფია უკვე გვქონდა დაბეჭდილი. ადმირალს დარჩა ცოლი, ქალი და 11 წლის ვაჟი. ქმრის დაღუპვის ამბავი ცოლმა ტელეფონით კრონშტადტში გაიგო 31 მარტს, დილის 8 საათზე. 12 საათზე პეტერბურგს წავიდა, ექვსზე უკანვე დაბრუნდა, მაგრამ ისე დასუსტებული, რომ საჭირო შეიქმნა დაწოლა და მკურნალობა.

მაკაროვთან ერთად „პეტროპავლოვსკ"-ზე დაიღუპა გამოჩენილი მხატვარი ვერეშჩაგინი. ვერეშჩაგინს მთელი ევროპა და ამერიკა იცნობდა. იგი ბატალისტი იყო და დიდი ხანია პირველ ხარისხოვან მხატვრად აღიარეს. მოკლე ბიოგრაფიას ვერეშჩაგინისას სურათთან ერთად ხვალ დავბეჭდავთ. დაიღუპნენ აგრეთვე დიდი ოკეანეს ესკადრის შტაბის უფროსი კონტრ-ადმირალი მიხ. მოლასი. განსვენებული 51 წლის კაცი იყო. კონტრ-ადმირალობა მხოლოდ შარშან მიიღო. „პეტროპავლოვსკ"-ზევე იყო საგენერალო შტაბის ნიკოლოზის აკადემიის პროფესორი, პოლკოვნიკი ა. აგაპეევი. პროფესორი 36 წლისა იყო და ნიჭიერ კაცად ითვლებოდა. ექსტრაორდინარის პროფესორად ნიკოლოზის აკადემიაში დანიშნეს 1902 წელს. შორეულ-აღმოსავლეთში ომის დაწყებისას წავიდა. უფროსი ექიმი ა. ვოლკოვიჩი, რომელიც აგრეთვე „პეტროპავლოვსკ"-ზე დაიღუპა, 33 წლისა იყო. განსვენებულმა 1894 წელს გაათავა სამხედრო სამკურნალო აკადემია. დანარჩენი დაღუპული აფიცრები ყველანი ახალგაზრდები იყვნენ, 22-28 წლისანი. მატროსებიც სულ ახალგაზრდანი იყვნენ. („მ. ი.").

ახალი ამბავი

◆ **წ.-კ. საზოგადოების** იუბილეის გამო გამგეობას მოსვლია კიდევ შემდეგი დეპეშები: 1) ბალახნის ქართველებისაგან: ვულოცავთ 25 წლის არსებობას მეტად საყვარელს დაწესებულებას, სულითა და გულით ვუსურვებთ ჩვენს ძვირფასს საზოგადოებას, რომ უფრო ძლიერის ნაბიჯით წასულიყოს წინ თავის მიზნისაკენ დავიწყებულის გაუნათლებელის ხალხის საკეთილდღეოდ; საუკუნო ხსენება—„საზოგადოების" გარდაცვალებულთ დამაარსებელთ. მათ-კი, რომელნიც დღესაც ცოცხალნი არიან, გულითადი მადლობა და დღეგრძელობა მრავალ ჟამიერი უანგარო მოღვაწეობისათვის! 2) განჯელ ქართველებისაგან: მხურვალედ ვულოცავთ „საზოგადოებას" 25 წლის ნაყოფიერს მოღვაწეობას, ვუსურვებთ უკეთესს მომავალს და აყვავებას საყვარელის მამულის სასახელოდ და საკეთილდღეოდ. 3) კავკავიდან: ვულოცავთ საზოგადოებას იუბილეს, ვუსურვებთ აყვავებას თავის მიზნის მისაღწევად.

◆ **საფოსტო ვაგონის გაცარცვის შესახებ** შემდეგ დამატებით ცნობებს გვაწვდიან: ავაზაკთ წაუღიათ: 1) 2199 მან. 11 კაპ. ქაღალდის პაკეტებიდან, 2) ტყავის 4 ტომრიდან 100288 მან. 14 კაპ., 3) კიდევ 168 მან., 4) ერთი რევოლვერი; სულ დაკარგულია 102555 მან. 30 კაპ., გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ნოსირის პლატფორმასთან მატარებლიდან არავინ ჩამომხტარა. ეჭვი შეიტანეს თვით ფოსტის მოხელეებზე—ხოშტარიასა და ჩიტავაზე, რომელნიც უკვე დააპატიმრეს.

◆ გუშინ-წინ, სალამოს 10 საათზე, საბურთალოზე, ტფილისის ახლო, 4 **შეიარაღებული კაცი დასცემია** ვინმე სეროფ ქაბაბჩიანის დუქანს და გაუცარცავს იგი. ჯერ ბოროტ-მომქმედთ წაურთმევიათ ცოტაოდენი ფული ქაბაბჩიანის მოჯამაგირისათვის და დუქნის დახლიდან ამოუღიათ ასი მანეთი, შემდეგ-კი მოუთხოვიათ ქაბაბჩიანისაგან—გვიჩვენე, სად გაქვს დამალული ფულიო. იმას უარი უთქვამს—იმაზე მეტი, რაც წაიღეთ, გროშიც არ გამაჩნიაო. მაშინ ავაზაკთ გაუჩხრეკიათ იქაურობა და ერთ ზანდუკში 3500 მანათის ოქროს, ვერცხლის და ქაღალდის ფული უნახავთ; წაუღიათ ეს ფულიც, სტოლიდან საათი და რევოლვერი და მტკვრისაკენ გაქცეულან. მაშინვე აცნობეს ეს ამბავი სტრაჟნიკებს, რომელნიც დადევნებიან და ბოროტ-მოქმედთათვის მიუსწრიათ მტკვრის ნაპირზე არტილერიის ყაზარმების უკან. ასტყდა სროლა, მაგრამ ავაზაკებმა ისარგებლეს სიბნელითა და მიიმალნენ. იმ ადგილას პოლიციამ იპოვა ხურჯინი, რომელშიაც 1800 მანათის ვერცხლის ფული იყო; ხურჯინი ავაზაკთ ველარ წაეღოთ, რადგან 3 ფუთის სიმძიმე აღმოჩნდა. როგორც ჰფიქრობენ, ავაზაკი 4-ზე მეტი უნდა ყოფილიყო: ოთხი რომ დუქანში მოქმედებდა, რამდენიმე კაცი გარედ დარაჯად იდგა. პოლიციამ სასტიკი ღონისძიება მიიღო თავხედ ბოროტ-მომქმედთა აღმოსაჩენად.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, „ვაკეს" და სხვა განაპირა ადგილების მცხოვრებთ სთხოვეს გამგეობას, ეს ადგილები შეუერთდეს ქალაქსაო. გუშინ თავად-აზნაურების შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტის წევრმა ნ. ზ. ცხვედაძემ სთხოვა გამგეობას, აცნობოს, რა მოვალეობა უნდა იკისრონ **წყნეთის კუთხის** მცხოვრებთ, რომ ეს კუთხე ქალაქს შეუერთდეს. როგორც გამგეობას ატყობინებს, ბ-ნ ცხვედაძეს განუზრახავს, მოელაპარაკოს ამ საქმის თაობაზე მემამულეებს და ამ რიგად დააჩქაროს ამ კუთხის შეერთება.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 8 აპრილს განიხილა ტ. ა. ენფიანჯიანცის წინადადება შუკკერტის ფირმის დაჯარიმების შესახებ. ამ ფირმას **მიხეილის ქუჩა ელექტრონით** უნდა გაენათებინა. გამგეობამ დაადგინა, დააჯარიმოს ფირმა 853 მანეთით. ეს ფული ფირმამ უნდა გადაიხადოს სამის

ნავობებთან შეუძლებელია. ამიტომ მიცუბიშიმ მოღვაწეობა ასე დაიწყო: ჯერ-ჯერობით ხელი აიღო გემების შეძენის აზრზე და შეუდგა მხოლოდ შუამავლობასა და საკომისიო მოქმედებას. ამ აზრით ამხანაგობა მობარებულ საქონლის გადასაზიდად ქირაობდა ევროპიულ გემებს. ამავე დროს ასწავლიდა და წვრთნიდა მეზღვაურებად იაპონელებს. ამხანაგობა მეტად სინიდისიერად იქცეოდა და მალე დიდი სახელი გაითქვა იაპონელ ვაჭრებს შორის. ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ არც ერთ უცხო-ქვეყნელ სანაოსნო ამხანაგობასა და გემს არ შეეძლო უმიცუ-ბიშოდ საქმის დაჭერა იაპონელ ვაჭრებთან რაკი ამ მხრივ ზურგი გაიმაგრა, მიცუ-ბიშიმ მოსთხოვა გემის პატრონთ, რომ ჩემს საქონლის გადაზიდვის დროს გემზე ჩემი მეზღვაურნი, ე. ი. იაპონელი მატროსები იყოლიეო. ორიოდე წლის შემდეგ, მიცუ-ბიშიმ მოსთხოვა გემის უფროსებს, რომ იაპონელი აფიცრები იყოლიონ. მართალია, პირველ ხანს გაუწრთვნელ იაპონელებს საქმე უძნელდებოდათ, მაგრამ ყველაფერს აკვირდებოდნენ და ევროპიელთაგან სწავლობდნენ. რაკი გაწრთვნილი აფიცრები და მატროსები შეიძინა, მიცუ-ბიშიმ იყიდა რამდენიმე გემი და უცხოელებს უარი გამოუცხადა, ჩემის გემებით გადავზიდავ საქონელსაო. უცხოელნი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, რადგან ყველა მიცუ-ბიშის იცნობდა და იმათთან სცდილობდა საქმის დაჭერას. ამავე დროს დასრულდა ქარხნებისა, დოკებისა და ელლინგების შენება. დააარსეს აგრეთვე ახალი კარგი საზღვაო სასწავლებლები. ამრიგად მოხერხებულმა იაპონელებმა ნელ-ნელა და თან-და-თან ნაოსნობის საქმე შიგნით იაპონიის ნავთ-სადგურებში სავსებით ჩამოაცალეს ევროპიელებსა და ამერიკელებს.

ამის შემდეგ იაპონელებმა იაპონიის გარედაც მოისურვეს მეტოქეებთან შეტაკება. დიდი ვაჭრობა ჰქონდა და აქვს იაპონიას ჩინეთთან. საქონლის გადაზიდვის საქმე მთლად ამერიკელების ხელში იყო. ამათი ამხანაგობა „ჩრდილოეთის ვარსკვლავი" საუცხოვო და საუკეთესო გემებს აწარმოებდა იაპონიასა და ჩინეთს შუა. აქაც „მიცუბიშიმ" მთავრობისავე დახმარებით მეტად მოხერხებულად წაიყვანა საქმე. უპირველეს ყოვლისა მიცუ-ბიშიმ თავის გემებზე შემოიღო იაპონური წესები, საჭმელი, მოწყობილობა და ამით იაპონელი მგზავრები და ვაჭრები ხელად ჩამოაცალა „ჩრდილოეთის ვარსკვლავს". ამის შემდეგ მიცუ-ბიშიმ თან და თან დაუკლო სამგზავრო ტარიფს თავის გზებზე და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ამერიკელთა ამხანაგობა გაკოტრდა: იმისი გემები სულ ერთიან მიცუ-ბიშიმ შეიძინა და მთელი ვაჭრობა იაპონელთა სხვა ახლად დაარსებულ სანაოსნო საზოგადოებებთან ერთად ხელთ ჩაიგდო.

გემის უფროსებად ანუ კაპიტნებად იაპონურ გემზე კარგა ხანს ევროპიელნი იყვნენ. მაგრამ ეხლა იშვიათია ისეთი გემი, რომელზედაც კაპიტნად არა იაპონელი იყოს.

ამ ჟამად ყველაზე ძლიერი და მდიდარი სანაოსნო ამხანაგობა იაპონიაში „ნიპონ იუსენ კაიშია", რომელსაც ძირის თანხად 25 მილიონი მანეთი აქვს. ამის გემებს რეგულიარი მისვლა-მოსვლა აქვთ, იაპონიასა და ჩინეთს გარდა, ევროპასა, ამერიკასა, ავსტრალიასა და ინდოეთს შორის. ამხანაგობას 80 დიდ გემამდე აქვს, ასამდე კიდევ პატარა ექნება. ამ სანაოსნო საზოგადოებას სიმდიდრითა და გემთა სიმრავლით მთელ დედამიწაზე მეხუთე ადგილი უჭირავს. მეორე სანაოსნო საზოგადოებას „ოსაკა შოზენ კაიშას" 70 გემი აქვს. არის მრავალი სხვა საზოგადოება. 1901 წელს იაპონიის სავაჭრო ფლოტში ითვლებოდა ორთქლით-მავალი 969 გემი. შემდეგის ცხრილიდან დაინახავს მკითხველი, როგორ განვითარდა იაპონიის სავაჭრო ფლოტი:

1871	წელს	—	70	გემი
1880	„	—	210	„
1890	„	—	334	„
1894	„	—	416	„
1899	„	—	753	„
1900	„	—	833	„
1901	„	—	969	„

1893 წელს გემების რიცხვით იაპონიას სჭარბობდნენ ევროპის დიდი სახელმწიფონი, შეერთებული შტატები და ბევრი მეორე ხარისხოვანი სახელმწიფო, ხოლო 1899 წელს იაპონიამ გაუსწრო რუსეთს, იტალიას, ავსტრიას და ყველა მეორე ხარისხოვან სახელმწიფოს.

დიდის (ეგრედ წოდებულ „გიგანტების") გემების სიმრავლით იაპონიას საპატიო ადგილი უჭირავს ასეთი გემი აქვს:

ინგლისს	78
საფრანგეთს	19
იაპონიას	14
შტატებს	13
რუსეთს	8
ესპანიას	7
ბელგიას	4
ჰოლანდიას	2

ამ ჟამად იაპონიას საკუთარი გემთსაშენებლებიც აქვს. სახელმწიფო გემთსაშენებელი ორ ადგილასაა—იაკოსუკოსა და კურეს. ამას გარდა არსებობს სამი კერძო გემების ამშენებელი ქარხანა. პირველი ქარხანა და დოკი ზემოხსენებულ „მიცუ-ბიშის" ამხანაგობისაა ნაგასაკში, მეორე „ურაგასი" ტოკიოს მახლობლად და მესამე „კავაზაკისა" კობეში. პირველი ქარხანა უდიდესია. იმის შენობებს სამი ვერსი ადგილი უჭირავს. ყოველ დღე ამ ქარხანაში 4000 ხელოსანი მუშაობს. ქარხანას ქვა ნახშირისა და რკინის საკუთარი მადაროები აქვს. პირველად ამ ქარხანას გემი შეუკვეთეს 1889 წელს, ხოლო 1900 წელს ამ ქარხანამ ერთსა და იმავე დროს ცხრა გემი ააგო. კავასაკის ქარხანამ 1902 წელს 7 ივლისს პირველად ჩაუშვა ზღვაში გემი, უცხოელების მიერ (ჩინელების) შეკვეთილი. ეხლა იაპონია მარტო თავისთვის და ჩინელებისათვის არ აკეთებს. 1902 წელს ისეთმა სახელმწიფომაც-კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ფილიპეს კუნძულების ესკადრისთვის ექვსი სამხედრო გემი შეუკვეთა იაპონიის გემთა ამშენებელ საზოგადოებას.

ყველა ამის შემდეგ მკითხველი ადვილად მიჰხვდება, მცირე ხანში რა ზომამდე განვითარდა იაპონიის ნაოსნობა.

ი. ა—ძე.

(შემდეგი იქნება)

დღის განმავლობაში. ქალაქის გამგეობამ დაავალა აგრეთვე შუკკერტის ფირმას, 2 თვის განმავლობაში აიღოს ის მავთულები, რომელიც მიხეილის ქუჩაზე გამართა კერძო სახლების გასანათებლად.

◆ ტფილისის მოქალაქემ კამოევმა პირობა დაუდო გამგეობას, თუ იგი კერძო სახლების **ელექტრონით გასანათებლად** ქუჩაში მავთულების გაყვანის ნებას მისცემდა, ნიკოლოოზის ხიდს უსასყიდლოდ გაანათებდა. კამოევმა პირობა დაარღვია, რადგან აქამდე ნიკოლოოზის ხიდი არ გაუნათებია. ამის გამო გამგეობამ დაადგინა, 2 კვირის განმავლობაში აიღებინოს კამოევს ქალაქის ქუჩებში გამართული ელექტრონის მავთულები. ასეთისავე პირობით შეეკრა ქალაქის გამგეობას ლიუკსის ფირმა, რომელსაც ქალაქის სასწავლებელი უნდა გაენათებინა 1 ნაწილში. რადგან იმანაც დაარღვია პირობა, გამგეობამ დაადგინა, 3 დღის განმავლობაში აიღებინოს მავთულები.

◆ ამას წინად პოლიციის მე-8 ნაწილის მცხოვრებთ საერთო თხოვნა მისცეს ქალაქის გამგეობას. სწერდნენ, ხარჯს ჩვენ ვიკისრებთ, ოღონდ რიყის ქუჩასა და ლესიმონოვის მოედანზე ერთი დიდი არხი იქმნას გაყვანილი, რომ **წყალდიდობისა და ნიაღვრებისაგან** წალეკვა თავიდან ავიცილოთო. საამშენებლო განყოფილების გამოანგარიშებით, არხის გასაკეთებლად საჭიროა 16,299 მან. 46 კ. გამგეობამ 8 აპრილს დაამტკიცა ეს ხარჯთაღრიცხვა და დაადგინა, გაანაწილოს პოლიციის მე-8 ნაწილის მცხოვრებლებზე ეს ფული.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა წარუდგინა ცნობები **საგუბერნიო სასტატისტიკო** კომიტეტს ტფილისის ქალთა და ვაჟთა იმ საშუალო სასწავლებლების შესახებ, რომელსაც სამოსწავლო ოლქი ინახავს. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, ამ სასწავლებლებზე იხარჯება 780,759 მანეთი. მოსწავლენიც ეროვნების მხრივ ასე განაწილდებიან: რუსი—2570, სომეხი—2427, ქართველი—1549, თათარი 141, მთიელი (?) 34, ებრაელი 247 და სხვა ეროვნებისა 502 ვაჟი და ქალი.

◆ ტფილისის გუბერნატორმა კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ სოფელ ეშტიის (ახალქალაქის მაზრა) საზოგადოების მცხოვრებთ ნება მიეცეთ **სასოფლო-სამეურნეო თანხიდან**, (11,095 მანეთიდან) 5248 მანეთი მიეცეს მანუკ ბაიბურტსკის, რომელთანაც ამ საზოგადოების მცხოვრებთ დავა ჰქონდათ მიწის გამო და ყველი ინსტაციაში წააგეს გლეხებმა.

◆ კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტის თავმჯდომარემ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა ი. ს. მედვედევმა წინადადება შეიტანა, დაარსდეს ტფილისში კავკასიის **შინა-მრეწველობის ნაწარმოებთა** საწყობი, სადაც მსურველს შეეძლება საქონლის შეძენა. კომიტეტმა დაადგინა, დაავალოს წევრს-საქმის მწარმოებელს ა. ს. ფირალოვს, შეიმუშაოს და წარუდგინოს კომიტეტს პროექტი ამ საწყობისა. საწყობი ჯერ საცდელად გაიმართება და შემდეგ, თუ საჭიროება მოითხოვს, გაფართოვდება.

◆ ქ. ახალქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს ამ ქალაქში **უფასო საჯარო წიგნთ-საცავ-სამკითხველო** დააარსოს პუშკინის სახელობაზე.

◆ რედაქციამ მიიღო: 1. სია ამ დრამატიულ ნაწარმოებისა, რომელთა ქართულად წარმოდგენაც ნება დართულია. სია შეიცავს 1879-დან 1904 წლამდე ნება დართულ პიესებს. ფასი 15 კაპ. 2. „ქართველ კათოლიკეთა არქიმანდრიტი პავლე მაჭყულიანი“ (ჭიალი მუზაშვილი) ზ. ჭიჭინაძისა. ფასი 20 კაპ.

◆ ერევნის საფოსტო გზის პირად (ტფილ. მაზრა) უპოვნიათ მტკვრის მიერ გამორიყული გვამი, რომლის ვინაობაც ვერ გაუგიათ.

◆ 6 აპრილს ხიდის ქუჩაზედ, პოლიციის მე-9 ნაწილში, ავეტიქ ბატიევისთვის ვიღაც ქურდს მოუპარავს 1500 მან. ეჭვი ბატიევმა განაცხადა ტფილისის მცხოვრებ ივანე შმიდტზე.

◆ მოლნინის ქუჩაზე, როგორც გვქონდა აღნიშნული, ჩამოინგრა ციციკოვის სახლის კედელი. კედელში მოყოლილ მუშათაგან მკვდარი გამოიტანეს 7 აპრილს სპარსელი სეიიდ-ქარიმ-ოღლი.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც მკითხველებმაც იციან, ვლადივოსტოკში სამხედრო წეს-რიგია გამოცხადებული და ყველაფერი სამხედრო უწყებას ექვემდებარება. ამ წეს-რიგის დებულების მე-831 მუხლისა და ციხეების მართვა-გამგეობის დებულების მე-8 მუხლის თანახმად, ვლადივოსტოკის კომენდანტის თანამდებობის აღმასრულებელს ამ დღეებში შემდეგი ბრძანება გამოუცია: „გაზეთ „ვლადივოსტოკ“-ის მე-10 №-ში მოთავსებულია სრულიად არა პატრიოტული შენიშვნა, რომელსაც საგნად აქვს სასაცილოდ აიგდოს ქალაქში შემდგარი რაზმი თავისუფალ მეომართა და შეურაცხება მიაყენოს ამ სიმპატიურს დაწესებულებას, რომელიც გამოიწვია პატრიოტულმა გრძნობამ და კეთილმა სურვილმა ცოტაოდენის დახმარების აღმოჩენისა მეფისა, სამშობლოსა და ჩვენის ციხისათვის.

ამ დროს, როცა ყველა ჩვენი ძალები ერთმიზნისაკენ უნდა იყოს მიმართული, როცა სამშობლოს განსაცდელი მიადგა და ყოველი ქვეშევრდომი მოვალეა, რითაც შეუძლია, დაეხმაროს სახელმწიფოს,—ამისთანა დროს გაზეთში ასეთის შენიშვნის დაბეჭდვა მეტად სამწუხარო ფაქტს წარმოადგენს. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ გაზეთის ხელმძღვანელნი ივიწყებენ, რა დიდი და მძიმე მოვალეობა აწევსთ კისერზე ახლანდელ საშიშ დროს.

მე ვფიქრობ, რომ გაზეთ „ვლადივოსტოკ“-ის რედაქტორ-გამომცემელს ბ-ნ რემეზოვს კარგად უნდა სცოდნოდა, რამდენად ურიგო და უმნიშვნელოა ასეთის შენიშვნების ბეჭდვა; ამიტომ წინადადებას ვაძლევ პოლკოვნიკ ლოსევს მოახდინოს განკარგულება გაზეთ „ვლადივოსტოკ“-ის რედაქტორ-გამომცემლის 7 დღით პოლიციაში დაპატიმრების შესახებ. გენ.-მაიორი ვორონეცი“. („რ. სლ.“).

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აპრირი

პეტერბურგი. დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის სასახლის კანტორაში და ფინანსთა სამინისტროს კასებში ხან-და-ხან მოდის შემოწირულება, რომელზედაც არ არის აღნიშნული, რომ ეს ფული ფლოტის გაძლიერების საქმეს მოხმარდეს; რადგან ეს ფული ხსენებულ დაწესებულებებში შემოდის, საფიქრებელია, სწორედ ფლოტის გაძლიერებისთვის არის შემოწირული. რაც არმიისა და ფლოტის საჭიროებისთვის შემოდის, ის ფლოტის გაძლიერებისთვის არ გადაიდება, ამიტომ კომიტეტი თავის მოვალეობად სთვლის, სთხოვოს ყველა შემომწირველთ, ნათლად აღნიშნონ ხოლმე, რომ ფულს ფლოტის გაძლიერების ფონდისათვის გზავნიან.—6 აპრილს შესრულდა ორი თვე მას შემდეგ, რაც გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება განსაკუთრებულ კომიტეტის დაარსების შესახებ ხელმწიფე მემკვიდრის საპატიო თავმჯდომარეობით და დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის თავმჯდომარეობით; ხუთ თებერვლამდე კომიტეტის კასებში ფლოტის გაძლიერებისათვის შემოვიდა 4.211.675 მან. $7^{1}/_{4}$ კაპეიკი, დაიხარჯა ამ დროს განმავლობაში 1.492.231 მან. 66 კაპ. შემოწირულ ფულიდან ადმინისტრაციაზე არაფერი დახარჯულა.—გამოცხადდა პროგრამა იმისა, თუ როგორ უნდა მიეგებონ პეტერბურგში ჩემულპოს გმირებს.

სტოკჰოლმი. დასრულდა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ სამმა ჩრდილო სახელმწიფომ ერთად გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი. ახალი დეკლარაციები აპრილის დამლევს იქმნება გამოქვეყნებული.

პარიზი. უკანასკნელ საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა ექმნება რუსეთისა და ინგლისის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ყოველ შემთხვევაში ეს შეთანხმება უზრუნველ ჰყოფს რუსეთს, რომ ეხლანდელ ომის დროს ინგლისთან საქმე არ გაუმწვავდება.

პორტ-არტური. (საკ. კორეს.“). პორტ-არტურის მიდამოებში არაფერი ცვლილება არა მომხდარა.—ეხლა გამოირკვა, რომ 31 მარტს კრეისერი „ბაიან“-ი როცა ნაღმიან გემების საშველად წავიდა, იძულებული იყო, იაპონიის ესკადრის ახლო მისულიყო; იაპონელებმა „ბაიან“-ს სეტყვასავით დააყარეს ყუმბარა, მაგრამ მაინც სრულებით ვერ დააზიანეს.—დღეს ნაპირზე გამოირიყა დაღუპულ „პეტროპავლოვსკ“-ის ნავი.—„ნოვი კრაი“ აღნიშნავს, საჭიროა რუსის ჯარის კაცებს ისეთი ქუდები დაურიგდეს, რომ მზემ ვეღარ დაჰკრას და ისეთი სამოსასხამები, რომ წვიმამ ვერ გაატანოს.—აქ გერმანიის ორი საზღვაო აგენტი მოვიდა. ეს აგენტები რუსეთის ჯარის უმთავრესს ბინაზე დარჩებიან.

ტომსკი. ციმბირის რკინის გზაზე საზაფხულო მოძრაობის წესს სამგზავრო მატარებლებისათვის 15 ივლისიდან შემოიღებენ. მსწრაფი მატარებლები მხოლოდ ირკუტსკამდე დადიან.

პარიზი. ეჭვი აღარაა თითქმის, რომ 2 აპრილს ბრძოლის დროს იაპონელების ერთი კრეისერი დაიღუპა. კრეისერი „ნისინი“ და „კასუგა“-ც ძლიერ დაზიანდნენ.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი იუწყება ხარბინიდან, რუსის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა იაპონელ პოლკოვნიკსა და მაიორსაო; ამ აფიცრებს ჩინელების ტანისამოსი ჩაეცვათ და რკინის გზის დანგრევას ცდილიყვნენ. ხარბინის დასავლეთით ცოტაოდნად დაზიანებული რკინის გზა ხელად შეაკეთეს.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

8 აპრილი

ტოკიო. ნაღმიანი გემი „სტრაშნი“ დაიღუპა ყუმბარისაგან, რომელიც მანქანის განყოფილებას მოხვდა.

როდესაც იაპონელებმა ვიცე-ადმირალის მაკაროვის სიკვდილი გაიგეს, ესკადრის ყველა გემზე იმის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს.

ლონდონი. „დეილი ნიუსს“ დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის პრესსა ეხება წერილებს ვენის გაზეთებისას, რომელნიც სასურველად სცნობენ სამეგობრო შუამდგომლობას, და ამბობს, არავითარი მოლაპარაკება არ შეიძლება იმ დრომდე, ვიდრე მთავარი ჯარი ორისავე სახელმწიფოსი ერთმანეთს არ შეეტაკებაო.

ომის დაწყებიდან იაპონელთა ერთმა სანაოსნო საზოგადოებამ საზღვარ-გარედ იყიდა 16 გემი 4,00 ტონნისა.

როგორც „სტანდარტ“-ს ატყობინებენ, იაპონიის პროტესტის გამო ჩინეთის მთავრობა დასთანხმდა გააუქმოს ის ბრძანება, რომლის ძალითაც აღკრძალულია ჩინეთიდ
კვერცხის გატანა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 აპრილი

სტამბოლი. ოსმალეთის მოთხოვნილებ
სომეხ-გრიგორიანთა პატრიარქმა ნება დ
ბითლისის ეპისკოპოსს, მუშ წავიდეს და
დოს დაარწმუნოს მეამბოხეთა მეთაური ან
ნიკი, დაჰმორჩილდეს ოსმალეთს.—მაკედ
ვილაეტებში ამნისტია მიეცა 1,300 ბოლგა

ვენა. რადგან ჰუნგრეთის რკინის გზებ
მოსამსახურენი გაიფიცნენ, მატარებლების მიმ
სვლა ჰუნგრეთსა და იქიდან შეჩერებულია.

ნიუ-იორკი („რეიტ. სააგენტო“). სადამ
თი ცეცხლი გაჩნდა ტორონტოს, კანადაში.
დით ცეცხლი გაძლიერდა. ზარალი ჯერ-ჯერო
ბით ექვს მილიონ დოლლარამდეა.

8 აპრილი.

პეტერბურგი. ხარკოვის გუბერნატორის თ
ნამდებობის აღმასრულებელს გერბელს უმაღლ
სად ებრძანა იყოს ხელმწიფე-მემკვიდრის საქმე
მმართველობის სამეურნეო განყოფილების უფრო
სად.

ვენა. ჰოფბურგში იმპერატორმა სადილი გა
მართა, რომელსაც დაესწრნენ უელსის პრინ
და პრინცესა, ჰერცოგი და ჰერცოგინა ტეკ
ვენაში ამ ჟამად მყოფი სამეფო ოჯახის წევრებ

სოფია. (მთავრობის წრეებიდან). ის ცნობ
გითომ ბოლგარიამ სცადა ოსმალეთთან სამხე
დრო შეთანხმება მოეხდინა, სრული სიცრუეა.

ვენა. უელსის პრინცისა და პრინცესის პ
ტივსაცემლად ჰოფბურგში ბალი გაიმართა.

პეტერბურგი. გრაფ კოცებუ ფონ-პილ
დონის როსტოვის გრადონაჩალნიკად დაინიშნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

დოქტორი მედიცინისა
ვლ. ივ. ინაშვილი
მიიღებს შიგნეულით, ქალების და ბავშვების ავად
მყოფობით შეპყრობილთ დღისით 1—2 ს. და საღამოთ
5—8 ს.-მდე. ალექსეევის ქუჩა № 7. მიხაილოვ
ქუჩის დასაწყისი. (10—125—3)

№ 4711
ო-დე-ლი
EAU DE LYS
თეთრი, ვარდისფერი
და ყვითელი;
ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.
ფერდ. მიულჰენსი
კელნი რეინზე და რიგა.
საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის, (მც. 10—7)



საათის საწყობი
იულიუს გენესი
ტფილისი, დვორცოვი ქუჩა.
მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლისა. ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი საათ ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობი ჰკის რულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფად და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზომიერია.
პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უსასყიდლოდ ეგზავნება. (25—6.—18)

ტელეფონი № 978. ტელეფონი № 978.
სამოდო-სამანუფაქტურო მაღაზია
„მ ო დ ე რ ნ“
ტფილისი, გოლოვინსკი პროსპექტი, სახლ სტეფანოვისა, 16.
მუდამ შეიძლება აარჩიოთ ბევრგვარი საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა: შალისა და აბრეშუმისა და ბამბეულის ყოველგვარი ქსოვილები, აგრეთვე სუფრის თეთრეული, აბრეშუმის იუბკები და კოფთები, პლიუშის სტოლის საფრები, ხავერდის ხალიჩები და სხვა. ფასები გადაჭრილია, ისყიდება შეუვაჭრებლად. (4—1)

Доз. ценз. Тифлисъ 8 Апрѣля 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის). (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.)